

# საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №403  
2019 წლის 13 მაისი

ქ. თბილისი

**„ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის №3128 კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

## **მუხლი 1**

„ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 19/05/2015, სარეგისტრაციო კოდი: 100110000.22.038.016450) №1 დანართით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„2. გადაღებული მასალა ინახება არანაკლებ 30 დღისა.“.

## **მუხლი 2**

ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული გადაღებული მასალის შენახვის 30-დღიანი ვადა:

- ა) №8 პენიტენციური დაწესებულების მიმართ ამოქმედდეს 2019 წლის 1 ივლისიდან;
- ბ) №2 და №15 პენიტენციური დაწესებულებების მიმართ ამოქმედდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან;
- გ) №12 პენიტენციური დაწესებულების მიმართ ამოქმედდეს 2020 წლის 1 თებერვლიდან;
- დ) №7, №9, №17 და №19 პენიტენციური დაწესებულებების მიმართ ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივლისიდან;
- ე) №5 და №6 პენიტენციური დაწესებულების მიმართ ამოქმედდეს 2020 წლის 1 ოქტომბრიდან;
- ვ) №3, №11, №14, №16 და №18 პენიტენციური დაწესებულებების მიმართ ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

თეა წულუკიანი

